UDC 339
SCOPUS CODE 1705
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-119-132

სოციალური მედია და თანამედროვე საზოგადოება

მაკა არახამია სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: makaarakhamia@gmail.com

რეცენზენტები:

რ. ლორთქიფანიძე, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: r.lortkifanidze@gtu.ge

მ. შონია, სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail: micaeli53@mail.ru

ანოტაცია. სოციალური მედიის გარეშე თანამედროვე ადამიანის ცხოვრება პრაქტიკულად წარმოუდგენელი გახდა. აპლიკაციებს, როგორიცაა Facebook, Instagram, LinkedIn, საიტი X (ყოფილი Twitter), TikTok – მსოფლიოში მილიარდობით ადამიანი იყენებს და ეს სტატისტიკა მუდმივად მზარდია. სოციალური მედიის პლატფორმებს ფუნქციურად მრავალი დანიშნულებით იყენებენ, მათ შორის, კომუნიკაციის, ინფორმაციის მიღება-გავრცელების, საკუთარი თავის გამოხატვის, გართობის მიზნით, ასევე საინფორმაციო ომის ინსტრუმენტად და ა.შ. მისი მზარდი პოპულარობის გათვალისწინებით აუცილებელია, შევისწავლოთ სოციალური მედიის გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე, სარგებელი, გამოწვევები და რისკები.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სოციალური ქსელების რაობა, წარმოშობისა და განვითარების ისტორია, სოციალური მედიის უარყოფითი და დადებითი ასპექტები, მისი გავლენა ადამიანთა შორის კომუნიკაციის პროცესზე, დემოკრატიაზე, სოციალურ ცხოვრებაზე, ადამიანის ფსიქიკაზე, ქცევაზე და ა.შ. სტატიაში გაანალიზებულია, როგორ შეიცვალა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება ახალ ციფრულ რეალობაში, იდენტიფიცირებულია საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემები, ჩამოყალიბებულია მათი გადაჭრის გზები, პრევენციის მექანიზმები და განვითარების პერსპექტივები.

გლობალიზაციისა და ჰიბრიდული საფრთხეების ეპოქაში საინფორმაციო ომის ინსტრუმენტების მიმართ საზოგადოების მოწყვლადობის შემცირება და ინტერნეტმომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

საკვანძო სიტყვები: ინტერნეტი; საინფორმაციო ომი; სოციალური მედია; სოციალური ქსელი; ციფრული ტექნოლოგიები.

შესავალი

სოციალური მედიის პლატფორმებმა კომუნიკაციის, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების პროცესში რევოლუცია მოახდინა. ციფრული სამყარო თანამედროვე ადამიანის სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, განუყოფელი ნაწილი გახდა. ასეთი მოცემულობის პირობებში აუცილებელია კრიტიკულად გავაანალიზოთ სოციალური მედიის გავლენა ჩვენს საზოგადოებაზე და დავსახოთ არსებულ გამოწვევებთან გამკლავების გზები.

ციფრული ტექნოლოგიები და სოციალური მედია უდავოდ არის საერთო-საზოგადოებრივი სიკეთე, მაგრამ, ამასთანავე, მას საფრთხეები ახლავს. ეს ორბუნებოვნება დღის წესრიგში აყენებს ამ ახალი ციფრული ფენომენის სათანადო შესწავლას და შესაბამისი უნარ-ჩვევების შეძენის აუცილებლობას, რათა გაიზარდოს საზოგადოების მედეგობა და სიახლე გამოყენებულ იქნეს არა ზიანის მისაყენებლად, არამედ განვითარებისთვის.

სოციალური ქსელი გახდა თანამედროვე საზოგადოების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ქმნის პლატფორმას კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გაცვლისა და ვირტუალური კავშირების შესაქმნელად.

სოციალურ ქსელებს, საერთოს გარდა, ინდივიდუალური მახასიათებლებიც აქვს. მაგალითად, X ქსელს (ყოფილი Twitter) ძირითადად მსოფლიოს გავლენიანი ლიდერები იყენებენ საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად. Facebook-ი და Instagram-ი უფრო მასობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი და მათ მეტწილად ჩვეულებრივი მოქალაქეები იყენებენ. ამ ორ პლატფორმას შორისაც არის გარკვეული სხვაობა, რადგან Instagram-ზე უფრო ჭარბობს ცნობადი სახეების პროფილები, ვიდრე Facebook-ზე. ასევე, Facebook-ი მეტად აქცენტირებულია ახლობლებთან და ოჯახთან ურთიერთობის საკითხებზე, ხოლო Instagram-ისთვის ვიზუალური კონტენტია წამყვანი. TikTok-ზე უფრო ახალგაზრდული აუდიტორიაა, მისი მომხმარებლების რაოდენობა სწრაფად მზარდია და პლატფორმაც უფრო და უფრო მასობრივი ხდება. შესაბამისად, ელექტორატის მოზიდვის მიზნით, ბოლო პერიოდში ამ არხზე პოლიტიკოსებიც ხშირად ჩნდებიან. რაც შეეხება YouTube-ს, მასზე მრავალფეროვანი ვიდეოკონტენტია განთავსებული, რომელიც ფაქტობრივად ნებისმიერი გემოვნებისა და ინტერესების ადამიანისთვისაა საინტერესო. სოციალური ქსელების განვითარებამ შექმნა და განავითარა ახალი პროფესია – ბლოგერობა. საავტორო ბლოგი, ეს, ფაქტობრივად, მინიგაზეთი ან მინიტელევიზიაა. ბლოგერობა ჰობიდან თანდათან მეტად მომგებიან ბიზნესად ჩამოყალიბდა, იქცა რა სარეკლამო ინდუსტ-

რიის ნაწილად. ზემოთ ჩამოთვლილი პლატფორმებისგან განსხვავებით, LinkedIn მხოლოდ პროფესიულ კავშირებზეა ორიენტირებული. გარდა იმ ძირითადი ფუნქციებისა, რისთვისაც ეს ქსელები შეიქმნა (კომუნიკაციური, რეკრეაციული, საგანმანათლებლო ფუნქციები, ბიზნესინდუსტრია), მათ შეიძინეს სახიფათო თვისებებიც. სოციალური მედია გამოიყენება როგორც საინფორმაციო ომის ინსტრუმენტი და, ასევე, როგორც კრიმინალური აქტივობის მექანიზმი. თანამედროვე სოციალური ცხოვრების ამ ახალ ფენომენზე – სოციალურ მედიაზე, მის საფრთხეებსა და სიკეთეებზე ვისაუბრებთ წინამდებარე სტატიაში

ძირითადი ნაწილი

სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა მუდმივად იზრდება. ამ მიმართულებით ბოლო წლების მოხმარების ზრდის ტემპები შემდეგნაირად გამოიყურება: 2024 წლის დასაწყისში - 5.170 მილიარდი აქტიური მომხმარებელი (+4.44%); 2023 წ - 4.950 მილიარდი (+7.07%); 2022 წ - 4.623 მილიარდი (+3.19%); 2021 წ - 4.480 მილიარდი (+13.13%). 2024 წლის ოქტომბერში მსოფლიოში 5,22 მილიარდი სოციალური მედიის მომხმარებელი იყო, რაც უტოლდება გლობალური მოსახლეობის 63,8%-ს. მხოლოდ 2024 წელს 256 მილიონი ახალი მომხმარებელი შეუერთდა სოციალურ მედიას გასული წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით. ეს ნიშნავს, რომ წლიური ზრდა 5,2%-ია, ანუ საშუალოდ 8,1 ახალი მომხმარებელი ყოველ წამში. უახლესი მონაცემებით, მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა 94,5% ყოველთვიურად იყენებს სოციალურ მედიას. შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების დაახლოებით 14%-ს ატარებს სოციალური მედიის გამოყენებაში [1].

სოციალური მედია არის ინტერნეტის მეშვეობით მასობრივი კომუნიკაციის სახეობა, ციფრული ტექნოლოგია, რომელიც იძლევა იდეებისა და ინფორმაციის, მათ შორის ტექსტისა და ვიზუალის, ვირტუალური ქსელებისა და თემების გაზიარების საშუალებას. ის, როგორც წესი, შეიცავს მომხმარებლის მიერ გენერირებულ კონტენტს, რომელიც ხელს უწყობს ჩართულობას მოწონების, გაზიარებების, კომენტარებისა და დისკუსიის საშუალებით. „სოციალური მედია“ და „სოციალური ქსელი“ ხშირად ურთიერთგადამფარავი ცნებებია და ზოგჯერ ერთი და იმავე მნიშვნელობითაც გამოიყენება [2]. თუმცა, ზოგადად, სოციალური ქსელი არის ვებსერვისი, საკომუნიკაციო ინტერნეტპლატფორმები, რომელიც ემსახურება ადამიანებს შორის დისტანციური ურთიერთობის პროცესს. სოციალური მედიის გაჩენა ინტერნეტის განვითარებამ განაპირობა. გლობალური ვებინდექსის უახლესი მონაცემების თანახმად, მთელს მსოფლიოში ინტერნეტის მომხმარებელთა 46% ახალ ამბებს სოციალური მედიის საშუალებით ეცნობა [3].

ტერმინი „სოციალური ქსელი“ ჯერ კიდევ 1954 წელს შემოიღო ე.წ. მანჩესტერის სკოლის სოციოლოგმა ჯეიმს ბარნსმა. მაშინ ამ ტერმინს არავითარი საერთო არ ჰქონდა ინტერნეტთან, მოიაზრებდა მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობებს და შემდეგნაირად განიმარტებოდა - სოციალური ქსელი არის ის, რაც აერთიანებს ადამიანთა ჯგუფებს ინტერესებიდან გამომდინარე. ბარნსი საუბრობდა სოციალურ წრეებზე, რომლებიც ეხებოდა ნაცნობებს ან მეგობრებს. მეცნიერი წერდა, რომ ეს კავშირები

მნიშვნელოვანია, რადგან მათ აქვთ პირდაპირი გავლენა ადამიანთა პროდუქტიულობაზე და ინდივიდუალურ მოტივაციაზე [4].

რაც შეეხება ინტერნეტს, მისი შექმნის შეთანხმებული ზუსტი თარიღის დასახელება რთულია. ინტერნეტის პროტოტიპად ითვლება აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მიერ შექმნილი ქსელი Arpanet-ი, რომელმაც 1969 წლის 29 ოქტომბერს გაავრცელა პირველი შეტყობინება ერთი კომპიუტერიდან მეორეზე UCLA-ს კვლევითი ლაბორატორიიდან სტენფორდში. ეს იყო პირველი ნაბიჯი ინტერნეტისა და თანამედროვე სოციალური ინტერნეტქსელების შექმნისკენ. მოგვიანებით, 1989 წელს ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის, ცერნის ლაბორატორიაში ბრიტანელმა მეცნიერმა სერ ტიმოთი ჯონ ბერნერს ლიმ წარადგინა ინფორმაციის მართვის სისტემის კონცეფცია და განახორციელა პირველი წარმატებული კომუნიკაცია მომხმარებელსა და სერვერს შორის ინტერნეტის საშუალებით. 1990 წლის 20 დეკემბერს, ბერნერს ლიმ შექმნა მსოფლიოში პირველი ვებგვერდი, რომელიც გახდა საფუძველი თანამედროვე ინტერნეტის განვითარებისათვის [5]. უკვე 1997 წელს შეიქმნა და 2001 წლამდე ფუნქციონირებდა ერთ-ერთი პირველი სოციალური ქსელი SixDegrees.com, სადაც მომხმარებელს საკუთარი პროფილის შექმნა და მეგობრების დამატება შეეძლო. 2002 წელს გამოჩნდა სოციალური ქსელი Friendster-ი, რომელმაც აზიასა და აშშ-ში პოპულარობა მოიპოვა. 2004 წელს ამერიკელმა პროგრამისტმა მარკ ელიოტ ცუკერბერგმა შექმნა Faceebok-ი, რომელსაც, 2024 წლის მონაცემებით, 3,07 მილიარდი მომხმარებელი ჰყავს. Twitter-ი შეიქმნა 2006 წელს ამერიკელი სტუდენტის, ჯეკ დორსისა და მისი თანამოაზრეების: ნოა გლასის, ბიზ სტოუნის და ევან უილიამსის მიერ. Twitter-ი 2023 წლის ივლისიდან გადაკეთდა საიტ X-ად. სოციალური მედიის აპლიკაცია Instagram-ი 2010 წელს ამერიკელმა პროგრამისტმა, კევინ სისტრომმა შექმნა, ონლაინვიდეოგაზიარების პლატფორმა YouTube 2005 წლის თებერვალში დააარსა ონლაინგადახდის კომპანია PayPal-ის სამმა ყოფილმა თანამშრომელმა - ჩად ჰარლიმ, სტივ ჩენმა და ჯავედ კარიმმა. YouTube კომპანია Google-მა 2006 წლის ნოემბერში შეიძინა და დღეს ის ოპერირებს, როგორც Google-ის ერთ-ერთი შვილობილი კომპანია. გიგანტურმა საძიებო სისტემა Google-მა 2011 წელს აამოქმედა სოციალური ქსელი Google+, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მიბმული იყო ცნობილ ბრენდებზე - Gmail, Blogger,YouTube, 2019 წლის აპრილში დაიხურა, რადგან პოპულარული ვერ გახდა [6]. ასევე ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი, რის გამოც Google+-მა არსებობა შეწყვიტა, იყო 2018 წელს მასზე განხორციელებული კიბერთავდასხმა, რომლის შედეგად 52,2 მილიონი ადამიანის პირადი მონაცემი გასაჯაროვდა. 2016 წელს ჩინურმა ტექნოლოგიურმა გიგანტმა Bytedance-მა წარადგინა აპლიკაცია, რომელმაც პირველი წლის განმავლობაში ჩინეთსა და ტაილანდში 100 მილიონი მომხმარებელი დააგროვა. 2017 წელს მედიაპლატფორმას ეწოდა TikTok-ი და ის მთელს მსოფლიოში პოპულარული გახდა. LinkedIn-ი არის ამერიკული სოციალური ქსელი საქმიანი კონტაქტებისთვის. 2024 წლის მონაცემებით, მას მსოფლიოს 200 ქვეყნიდან 1 მილიარდი რეგისტრირე-

ბული მომხმარებელი ჰყავს. საიტი ხელმისაწვდომია 25 ენაზე.

ზემოთ ჩამოთვლილი ისტორიული მაგალითები ადასტურებს სოციალური ქსელების ევოლუციას შედარებით მარტივი შეტყობინებების სისტემებიდან უფრო რთულ და ფუნქციებით მდიდარ პლატფორმებამდე. ტექნოლოგიების წინსვლის და მის კვალდაკვალ მომხმარებელთა ქცევების მოდერნიზების შესაბამისად, სოციალური მედია აგრძელებს განვითარებას და მისი გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე განუხრელად იზრდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში სოციალურმა ქსელებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, მან შეძლო გავლენის მოხდენა ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე და გამოიწვია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი შედეგები.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ სოციალური მედიის ერთ-ერთი მთავარი თვისება, რაც მისი უპირატესობაა და პოპულარულს ხდის – უნარი, დააკავშიროს ადამიანები ყოველგვარი საზღვრების გარეშე. სოციალური ქსელი გლობალიზაციის პირმშოა და პირიქითაც, ის თავად განაპირობებს გლობალიზაციას. დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ, განსხვავებული კულტურის წარმომადგენელ ადამიანებს შეუძლიათ გაცვალონ ინფორმაცია, იდეები, დამეგობრდნენ ან დაპირისპირდნენ. ასევე, სოციალური მედიის პლატფორმები აუცილებელი ინსტრუმენტებია სიახლეებისა და მოვლენების რეალურ დროში გასაზიარებლად, რაც აძლიერებს ინფორმაციის გავრცელების სიჩქარეს და ხელმისაწვდომობას. მედიაპლატფორმების მიერ შემოთავაზებული მყისიერი შეტყობინებებისა და ვიდეოზარების საშუალებით ადამიანს გაუადვილდა შორ მანძილზე მყოფ საყვარელ ადამიანებთან დაკავშირება, შორეული სიახლეების მომენტალურად გაგება და ა.შ.. სამყარო დაპატარავდა და უფრო ურთიერთდაკავშირებული გახდა.

გარდა ამისა, როდესაც ინტერნეტმომხმარებელი გარკვეულ ინფორმაციას ათავსებს სოციალურ ქსელში, ტოვებს პოსტს რომელიმე ბლოგზე ან წერს კომენტარს, ის ავტომატურად ავრცელებს იდეას საინფორმაციო სივრცეში. ხშირად ეს საკმარისია იმისთვის, რომ ავტორმა თავი სრულყოფილად, რეალიზებულად და წარმატებულად იგრძნოს. იქმნება გარკვეული ილუზია და მაღლდება თვითშეფასება. ეს, ერთი მხრივ, კარგია, რადგან ადამიანი თავს მნიშვნელოვან პიროვნებად გრძნობს, მაგრამ, ამავე დროს, ამ მოცემულობამ შეიძლება, შექმნას არაადეკვატურობის საფრთხე.

სიკეთეებთან ერთად სოციალურმა მედიამ გამოწვევებიც მოიტანა. მაგალითად, ტერორიზმი ვერ განვითარდებოდა სოციალური ქსელების არსებობის გარეშე. ასევე, სოციალურმა ქსელებმა მოიტანა უამრავი დეზინფორმაცია, ყალბი ამბები, რომელიც ხშირად მიზანმიმართულად ვრცელდება საინფორმაციო ომის აქტორების მიერ საზოგადოების ცნობიერებაზე ზემოქმედებისა და ადამიანის ქცევის შეცვლის მიზნით. ამგვარმა ინფორმაციულმა რევოლუციამ ინფორმაციის სწრაფად მიღების შესაძლებლობის გარდა არასწორი აღქმების ჩამოყალიბებასაც შეუწყო ხელი. საინფორმაციო ომი იოლად საწარმოებელი, მისი ინსტრუმენტების გამოყენება ხელმისაწვდომი, ხოლო მისგან თავდაცვა უფრო რთული გახდა. დღის წესრიგში დადგა საზოგადოების მედეგობის გაძლიერების აუცილებლობა. ამასთანავე, სოციალურმა ქსელებმა გამოიწვია სოციალური ურ-

თიერთობების არცთუ დადებითი კუთხით მოდერნიზება - ახლო კომუნიკაციისა და ემოციური კავშირის ონლაინკომუნიკაციით ჩანაცვლებამ ადამიანის ფსიქიკაზე ხშირ შემთხვევაში არცთუ დადებითი გავლენა მოახდინა.

სოციალური მედიისა და საინფორმაციო ომის ურთიერთმიმართება თანამედროვე კონფლიქტების კრიტიკული და რთული ასპექტია. სოციალური მედიის პლატფორმები, მათი ფართო წვდომით და რეალურ დროში კომუნიკაციის შესაძლებლობებით, ინფორმაციის გავრცელების მძლავრი ინსტრუმენტებია. ამავე დროს, ეს ატრიბუტები სოციალურ მედიას ხდის მანიპულირებისადმი მიდრეკილს მათი მხრიდან, ვინც ციფრული საშუალებებით ცდილობს საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენას, საზოგადოებაში დესტაბილიზაციის ან სხვა სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით.

სოციალურმა მედიამ ასევე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დემოგრაფიული და კულტურული კომუნიკაციის მიმართულებითაც. მაგალითად, სოციალური მედია გახდა პლატფორმა საზოგადოების მარგინალიზებული ჯგუფებისთვის, მისცა რა მათ საშუალება, გამოხატონ საკუთარი აზრი, ისაუბრონ არსებულ პრობლემებზე და მისი მოგვარების გზებთან დაკავშირებით ფართო აუდიტორიას საკუთარი გამოცდილება გაუზიარონ. გარდა ამისა, სამოქალაქო აქტივისტები იყენებენ ინტერნეტპლატფორმებს ადამიანის ცნობიერების ამაღლებისა და სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლის საშუალებად. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალურმა მედიამ ხელი შეუწყო თაობათა შორის დიალოგს, უფრო გაიოლდა ახალგაზრდებსა და ხანდაზმულებს შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა და იდეების გაზიარება.

სიკეთეებთან ერთად, სოციალურ მედიას გამოწვევებიც მოჰყვა. მაგალითად, ონლაინპლატფორმების საშუალებით გაიოლდა გარკვეული სტერეოტიპების ჩამოყალიბება, კიბერბულინგი, საზოგადოების პოლარიზაცია, თვით ტერორიზმი და ა.შ. ის მძლავრი იარაღია საინფორმაციო ომის მწარმოებელთა ხელში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედია არის ინსტრუმენტი და უმნიშვნელოვანესია, ვინ როგორ გამოიყენებს მას, სოციალური სიკეთეებისთვის თუ საზოგადოების წინააღმდეგ.

მნიშვნელოვანია სოციალური მედიის როლი ეროვნული და გლობალური პოლიტიკური ლანდშაფტის ფორმირებაში. ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, ამის ერთ-ერთი პირველი მაგალითია 2009 წლის ირანში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ აზვირთებული საპროტესტო აქციები, როცა ინტერნეტაქტივიზმი და სოციალური ქსელი გამოყენებულ იქნა პროტესტის ორგანიზების ინსტრუმენტად [7].

მსოფლიოს არაერთი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება, ითქვას, რომ სოციალურმა მედიამ აშკარად შეცვალა საპროტესტო აქციების დინამიკა. ქუჩაში ფიზიკური დემონსტრაციები იმართება ონლაინ საპროტესტო აქციებთან ერთად და კოორდინირებულად. მეტიც, ონლაინსივრცეში შესაძლებელია ფართომასშტაბიანი ქუჩის პროტესტის ორგანიზება. სოციალური მედია ასევე უზრუნველყოფს გლობალურ პლატფორმას საპროტესტო აქციებისთვის, რომელიც შესაძლოა, ჩატარდეს მთლიანად ონლაინრეჟიმში.

მსოფლიო მასშტაბით არაერთი პრეცედენტი მიუთითებს, რომ სოციალურ მედიას შეუძლია, გადამწყვეტი როლი შეასრულოს საინფორმაციო ომში. განსაკუთრებულია სოციალური მედიის როლი სამოქალაქო არეულობებში, სტრატეგიულ უსაფრთხოებასა და სამხედრო ოპერაციებში.

სოციალური ქსელები და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები ეფექტური ინსტრუმენტები აღმოჩნდა საინფორმაციო-პროპაგანდისტულ საქმიანობაში, სტრატეგიულ კომუნიკაციებსა და საგანგებო სიტუაციებში [8]. მაგალითად, სოციალურმა ქსელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 2011 წელს იაპონიის მიწისძვრისა და ცუნამის დროს ინფორმაციის მყისიერად გავრცელების კუთხით [9].

სოციალურმა მედიამ ინფორმაციის მოხმარების წესებში მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა. ტრადიციული მედიასაშუალებებიდან ახალი ამბების გავრცელების დეცენტრალიზაციით. შეიქმნა და პოპულარული გახდა ე.წ. სამოქალაქო ჟურნალისტიკა. დღეს ყველას, ვისაც აქვს სმარტფონი და ჩართულია ინტერნეტში, შეუძლია მოვლენების დოკუმენტირება, გაზიარება, ახალი ამბების შექმნა და გავრცელება. ამ სიახლემ განაპირობა როგორც ინფორმაციის დემოკრატიზაცია, ისე ინფორმაციისა და მისი მომხმარებლების დაუცველობა.

დიახ, დღეს ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება, მაგრამ მისი სანდოობის საკითხი პრობლემურია, დაუცველია. ინფორმაციის დემოკრატიზაცია კარგია, მაგრამ არა უპირობოდ კარგი. მართალია, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა გაიზარდა, მაგრამ, ამავე დროს, მავნე აქტორებს გაუიოლდათ მიზანმიმართულად დეზინფორმაციის გავრცელება, რამაც საზოგადოების მედეგობა გააუარესა. დეზინფორმაცია და ყალბი ამბები უკონტროლოდ ვრცელდება, შდეგად საზოგადოება მეტად მოწყვლადი გახდა. თანამედროვე მსოფლიოში პრაქტიკულად ნებისმიერი საზოგადოება, ნებისმიერი ინტერნეტის მომხმარებელი საინფორმაციო ომის ზემოქმედების ქვეშაა. სოციალურ მედიაში გავრცელებული უამრავი სიახლის პირობებში სანდო წყაროს ამოცნობა სულ უფრო რთული ხდება, რაც, ზოგადად, მედიის ნდობის დაქვეითებას იწვევს. დღის წესრიგში დგება საზოგადოების დაცულობის გასაძლიერებლად შესაბამისი კონტრზომების მიღების აუცილებლობა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ციფრული წიგნიერების უნარებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას გულისხმობს. ადამიანებში ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმების უნარების გამომუშავება ფაქტობრივად საზოგადოებრივი უსაფრთხოების საკითხად იქცა.

სოციალურმა მედიამ ბიზნესისა და საზოგადოების ურთიერთობაზეც მოახდინა მნიშვნელოვანი გავლენა, რევოლუციურად შეიცვალა პროდუქციის რეალიზების წესები. კერძოდ, სოციალური მედია გვთავაზობს ეკონომიკურად ეფექტურ და მიზანმიმართულ რეკლამას, რომელიც მცირე საწარმოებს და სტარტაპებს საშუალებას აძლევს, შედარებით თანაბარ პირობებში კონკურენცია გაუწიონ მსხვილ კორპორაციებს. სოციალური ქსელების პლატფორმები გვთავაზობს ფასდაუდებელ ინსტრუმენტებს და ანალიტიკურ მიდგომებს მომხმარებელთა ქცევის გასაგებად, რაც საშუალებას აძლევს მეწარმეს, დახვეწოს თავისი სტრატეგია და მაქსიმალურად გაზარდოს პროდუქციის რეალიზაციის არეალი.

ბოლო წლებში მარკეტინგმა მეტი ძალა შეიძინა. ადამიანი სულ უფრო ხშირად ქმნის პერსონალურ ბრენდს, ახდენს მის პოპულარიზაციას სოციალური

პლატფორმების მეშვეობით, რაც საშუალებას აძლევს, განახორციელოს საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების როგორც ინდივიდუალურად რეალიზაცია, ისე წარმატებით ითანამშრომლოს მსხვილ კომპანიებთან. სოციალური ქსელების პირობებში ბიზნესის ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ზემოთ აღწერილმა კოლაბორაციამ შეცვალა სარეკლამო ლანდშაფტი, გავლენა მოახდინა მომხმარებლის ქცევაზე, წაშალა საზღვრები ავთენტურობასა და კომერციალიზაციას შორის.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ მედიას აქვს უნარი, შორ მანძილზე მყოფი ადამიანები მომენტალურად დააკავშიროს და მათ მისცეს ინტერაქციის საშუალება, ამავე დროს, ის გავლენას ახდენს ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და საზოგადოების კეთილდღეობაზე. სულ უფრო მეტი ადამიანი ხდება ე.წ. დოკუმენტალისტი, „ჟურნალისტი“ და სპეციალური ცოდნის ქმნის და ავრცელებს ახალ ამბებს. შესაბამისად, იზრდება საზოგადოების დაუცველობა ინფორმაციის მავნე ზეგავლენისაგან, ზიანდება ფსიქიკური ჯანმრთელობაც. სოციალური მედიის გადაჭარბებული გამოყენება დაკავშირებულია გაზრდილ შფოთვასთან, არაადეკვატურობის განცდასთან, დეპრესიასთან და საერთო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაქვეითებასთან.

დღის წესრიგში დგება სრულიად ახალი ფენომენი – სოციალური მედიის ჰიგიენა, რაც გულისხმობს მისი მოხმარების გარკვეული წესების ცოდნასა და დაცვას. სოციალურ მედიასთან ჯანსაღი ურთიერთობის შესანარჩუნებლად გადამწყვეტია ე.წ. საკუთარი თავის მოვლის პრაქტიკა და საზღვრების დაწესება. შეიძლება ითქვას, რომ სოციალური მედიის მოხმარების სწორი მეთოდების ცოდნა თანამედროვე ადამიანისთვის საკუთარი თავის მოვლის წესების შემადგენელი ნაწილი გახდა, ისეთივე, როგორიცაა რეგულარული ფიზიკური ვარჯიში, პირადი ჰიგიენის დაცვა, ჯანსაღი საკვების მიღება და ა.შ.

საყურადღებოა, რომ სოციალური მედიის მოხმარებას ახლავს დამოკიდებულების განვითარების საფრთხე. ეს რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული. პირველი არის ის, რომ სოციალურ ქსელში დროის გატარება აღიზიანებს ტვინში არსებულ სიამოვნების ცენტრებს. ადამიანი განიცდის დადებით ემოციებს, როცა კითხულობს კომპლიმენტებს სოციალურ ქსელში განთავსებულ საკუთარი ფოტოს თუ პოსტის ქვეშ. ამ ემოციების კვლავ მიღების სურვილი არის ის, რაც მიიზიდავს ინტერნეტმომხმარებელს სოციალური ქსელისკენ და აიძულებს მას, ამ სივრცეში სულ უფრო მეტი დრო გაატაროს.

ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ადამიანს შეუძლია ერთდროულად ან დროის მცირე მონაკვეთში სხვადასხვა სფეროდან მრავალფეროვანი ინფორმაცია მიიღოს, წაიკითხოს სტატია, დაათვალიეროს მეგობრის ან ცნობადი სახის ინტერნეტგვერდი, მოუსმინოს მუსიკას, გაეცნოს ფოტო- ვიდეოსიახლეებს და ა.შ.. შესაბამისად, ადამიანს იზიდავს ეს მრავალფეროვნება, მაგრამ, იმავდროულად, იზრდება არასწორი ინფორმაციის „სანდოობის“ რისკი, რადგან ერთდროულად მიღებული ინფორმაციის დიდი ნაკადის საიმედოობის შემოწმება ადამიანს არც მოუნდება და არც შეუძლია.

სოციალური ქსელები ტვინისთვის ერთგვარი ნარკოტიკი გახდა. ადამიანი ეჩვევა ინტერნეტინფორმაციის გამუდმებით მიღებას და თუ ეს ნაკადი

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

მოულოდნელად რაიმე მიზეზით (თუნდაც ტექნიკური) შეწყდა, აბსტინენციის (ე.წ. „ლომკა“) სინდრომი უვითარდება. ეს სინდრომი გამოიხატება იმაში, რომ ადამიანისთვის რთული ხდება მოდუნება, დასვენება. როცა ტვინი მცირე ინფორმაციას იღებს, ის „შფოთვას“ იწყებს, თუ რატომ არ მიეწოდება ინფორმაციის უფრო მეტი ნაკადი, რასაც მიჩვეულია.

კიდევ ერთი უარყოფითი ასპექტი არის ყურადღების კონცენტრირების პრობლემა. ეს არის გვერდითი ეფექტი, რომელიც ინფორმაციის ინტეგრაციის წყალობით გაჩნდა: ერთ ქსელურ რესურსთან მუშაობის პარალელურად ირთვება ე.წ. ადამიანის მრავაფუნქციური ქცევა. ის ერთდროულად აწარმოებს ინტერნეტკომუნიკაციას, აუდიო- და ვიდეოჩანაწერების გაცნობას, დისკუსიას. ინტერნეტმომხმარებელი ერთდროულად რამდენიმე პროცესს ახორციელებს, რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უარყოფითად მოქმედებს ინფორმაციულ ნაკადში როგორც სარწმუნო ინფორმაციის გამორჩევაზე, ისე ყურადღების კონცენტრირებაზე. ადამიანს უკვე უჭირს გრძელი ტექსტების კითხვა, გააზრება, დასწავლა და ა.შ. შესაბამისად, ეს მოცემულობა საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებს ადამიანის აზროვნების შესაძლებლობებზე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია მოზარდ თაობასთან მიმართებაში. სწორედ ამიტომ აუცილებელია ინტერნეტჰიგიენის დაცვა.

სოციალურ ქსელს სხვა საფრთხეებიც ახლავს. შესაძლოა, მავნე აქტორმა მოიპაროს და ბოროტად გამოიყენოს პიროვნების ან ორგანიზაციის პირადი მონაცემები. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფრთხეა სოციალურ ქსელზე კიბერთავდასხმა, როცა ხდება ანგარიშზე შეღწევა გვერდის დაბლოკვის ან მასზე დეზინფორმაციის გავრცელების მიზნით. მავნე პროგრამა შექმნილია, როგორც კოდი ან ფაილი, რომელიც გადადის მომხმარებლის კომპიუტერზე, რათა დააინფიცირეს იგი ან მოიპაროს პირადი ინფორმაცია. სოციალურ ქსელში მავნე ქმედების ერთ-ერთი სახეობაა ე.წ. ბრენდის იმიტაცია. სოციალური მედიის საფრთხეებისგან ცნობილი ბრენდებიც კი არ არის დაცული. თაღლითებმა შესაძლოა, შექმნან სოციალური მედიის ყალბი ანგარიში და დაუკავშირდნენ კლიენტებს ცნობილი ბრენდის სახელით. მათი მიზანია, მიიღონ ბრენდის შესახებ პერსონალური ინფორმაცია, მაგ. ანგარიშის დეტალები ან გაზიარონ შეტყობინებები, რომლებიც ზიანს აყენებს ბრენდის რეპუტაციას.

სოციალური ქსელების განვითარებამ წარმოშვა ახალი ტიპის კრიმინალური აქტივობა. ეს არის ე.წ. ინტერნეტფიშინგი, რომლის მიზანია პიროვნების საკონტაქტო და სოციალური ინფორმაციის მოპოვება, მისი ინტერნეტანგარიშების ხელში ჩაგდება მართვის, რეპუტაციული ზიანის და ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით. ასევე ინტერნეტში გავრცელებულია კიბერბულინგი, რაც გულისხმობს სიძულვილის ენის გამოყენებას, რეპუტაციის შემლახველი ინფორმაციის გავრცელებას და ა.შ.

თანამედროვე საზოგადოება ვერ იარსებებს სოციალური ქსელების მოხმარების გარეშე, მაგრამ მან უნდა გამოიმუშაოს იმუნიტეტი ინფორმაციის მავნე ზემოქმედებისადმი. საამისოდ საჭიროა ციფრული მედიაწიგნიერების ამაღლება და ინფორმაციის გადამოწმების უნარ-ჩვევების გამომუშავება. საუკეთესო გზა, რათა თავიდან ავიცილოთ სოციალური მედიის რისკები, არის იმის ცოდნა, თუ როგორ აღმოვაჩინოთ ისინი და ასევე, ვიყოთ პროაქტიული

ონლაინუსაფრთხოების კუთხით, რაც გულისხმობს მომხმარებლის ანგარიშებზე მაღალი დაცულობის კოდების დაყენებას. ამასთანავე, ციფრული ინტოქსიკაციის შესამცირებლად საჭიროა ეკრანთან გატარებული დროის შეზღუდვა, რეალურ ცხოვრებაში კომუნიკაციის პრიორიტეტიზაცია. ყოველივე ზემოთქმული, ერთად აღებული, საშუალებას მოგვცემს, შევამსუბუქოთ სოციალური მედიისა და მისი ჭარბი გამოყენების მავნე ზემოქმედება.

სოციალური ქსელების შექმნა-განვითარების პარალელურად აქტუალური გახდა კონფიდენციალურობისა და მონაცემთა უსაფრთხოების საკითხი. ეს ბუნებრივია, რადგან ინტერნეტმედიაპლატფორმები კოლოსალური რაოდენობით აგროვებს პერსონალურ მონაცემებს. თავად სოციალური ქსელებიც დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს ინტერნეტუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მაგრამ უმთავრესია, თავად ინტერნეტმომხმარებლებმა გააცნობიერონ რისკები და მიიღონ ზომები ონლაინკონფიდენციალურობის დასაცავად. ეს გულისხმობს ძლიერი პაროლების დაყენებას, საჯაროდ გაზიარებული ინფორმაციის კრიტიკულ ანალიზს, წყაროების გადამოწმების უნარ-ჩვევებს, საჭიროების შემთხვევაში კონფიდენციალურობის პარამეტრების კორექტირებას. ეს ყოველივე არსებითია პერსონალური მონაცემების დასაცავად.

თანამედროვე მსოფლიოში მარეგულირებელმა ორგანოებმა და სახელმწიფოთა მთავრობებმა უკვე აღიარეს მონაცემთა დაცვის მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით სახელმწიფოთა ძალისხმევა მათი დემოკრატიულობის ხარისხის პირდაპირ-პროპორციულია. ისეთი კანონები, როგორიცაა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) ევროკავშირში, სხვადასხვა ქვეყნის ორგანული კანონები, მიზნად ისახავს, ადამიანს მიეცეს საკუთარი პერსონალური მონაცემების მეტი კონტროლის შესაძლებლობა, ხოლო კომპანიებს დაეკისროს მეტი პასუხისმგებლობა მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დაცვაზე.

სოციალური მედიის შექმნა მნიშვნელოვანია განათლებისა და სწავლების პროცესის კუთხითაც. მან შეცვალა განათლების ლანდშაფტი, სწავლა უფრო ხელმისაწვდომი, ინფორმაციული და მიმზიდველი გახადა. პლატფორმები, როგორიცაა YouTube, Instagram-ი და საიტი X, პედაგოგებს, ექსპერტებსა და ენთუზიასტებს აძლევს შესაძლებლობას, საზოგადოებას გაუზიარონ სხვადასხვა სფეროში ცოდნა და გამოცდილება. სოციალური მედია ღირებული რესურსია დამოუკიდებლად სწავლისთვის, უზრუნველყოფს რა ონლაინგაკვეთილებს, ვებინარებს და სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობას უნარებისა და ცოდნის გასაუმჯობესებლად. ეს მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური კუთხითაც. ინტერნეტის საშუალებით ადამიანებს ხშირად უფასოდ შეუძლიათ ახალი ცოდნის მიღება, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალური მედიის სოციალურ მნიშვნელობას.

ამასთან ერთად, დეზინფორმაციული ნარატივისა და კონტენტის შექმნა და მისი გავრცელების სიმარტივე სოციალურ მედიაპლატფორმებზე გამოწვევაა. მომხმარებლებისთვის აუცილებელია, კრიტიკულად შეაფასონ ინფორმაცია, რომელსაც მოიხმარენ და მოიძიონ სანდო წყაროები სოციალური მედიის საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამო-

ყენებისას. აქაც, როგორც ინფორმაციისა და ახალი ამბების გავრცელების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება საზოგადოების მედეგობის საკითხი, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ციფრული მედიაწიგნიერების, კრიტიკული აზროვნებისა და წყაროების გადამოწმების უნარების გამომუშავებას.

გარდა ამისა, სოციალური მედიის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ე.წ. ინტერნეტმომხმარებელთა ანგარიშვალდებულების საკითხი. თითოეულმა ადამიანმა უნდა გააცნობიეროს, რომ კონტენტი, რომელსაც ისინი ინტერნეტში ატვირთავენ, შესაძლოა, ვირუსულად სწრაფად გავრცელდეს და, შესაბამისად, მისი სრულად წაშლა შეუძლებელია. ინტერნეტში განთავსებულ ყალბ ან დეზინფორმაციულ ინფორმაციას აქვს პოტენციალი, ზარალი მიაყენოს მასშტაბურ აუდიტორიას. სწორედ ამითაა განპირობებული დაინტერესებული აქტორების მიერ სოციალური მედიის საინფორმაციო ომის ინსტრუმენტად გამოიყენება. რაც შეეხება ჩვეულებრივ ადამიანს, რომელიც არ არის საინფორმაციო ომის მწარმოებელი, მართებს გაიაზროს, რომ მის მიერ მავნე წინასწარგანზრახულობის გარეშე გაზიარებული ან გავრცელებული დეზინფორმაციული შინაარსის მქონე ინფორმაციით ის უნებლიეთ ხდება საინფორმაციო ომის ინსტრუმენტი.

ინტერნეტტექნოლოგიური კომპანიები საინფორმაციო სივრცის დასაცავად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ. ისინი ქირაობენ ე.წ. შიდა მოდერატორებს, რათა შეამოწმონ ინტერნეტში გავრცელებული ფოტო-, ვიდეო- და ტექსტური ინფორმაციის შინაარსი და წაშალონ ისინი, თუ პოსტები არღვევს პლატფორმების მიერ დადგენილ წინასწარ განსაზღვრულ წესებს. ამგვარ მიდგომას, ეფექტურობასთან ერთად, აქვს პრობლემებიც. ზოგიერთ შემთხვევაში ის წინააღმდეგობაში მოდის სიტყვის თავისუფლებასთან. გარდა ამისა, კონტენტის მოდერაციის სრულყოფილად განხორციელების შემთხვევაშიც, ის მაინც გამოტოვებს არაერთ საკითხს. შეიძლება, მოდერატორმა ჩათვალოს, რომ ინფორმაციის შინაარსი ინტერნეტში განსათავსებლად მისაღებია ან არა, მაგრამ სინამდვილეში პირიქით იყოს. ამ შემთხვევაში მოქმედებს არა იმდენად სუბიექტური ფაქტორები, რამდენადაც საზოგადოებების კულტურული განსხვავებები, რაც კონტენტის სპეციფიკურობას განაპირობებს და ა.შ.

სოციალურ მედიაზე საუბრისას აღსანიშნავია, რომ ის გადამწყვეტ როლს ასრულებს სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების სტიმულირების საქმეში. იდეები და სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკური მოძრაობა პოპულარობას იძენენ სწორედ სოციალური პლატფორმების მეშვეობით. ამ გზით ხდება ცნობიერების ამაღლება, იდეების პოპულარიზაცია, რაც, საბოლოო ჯამში, ცვლილებების განხორციელების ტრიგერი ხდება. ისიც აღსანიშნავია, რომ სოციალური მედია მძლავრი შესაძლებლობაა საქველმოქმედო ინიციატივების განსახორციელებლად, რაც მას სოციალური სიკეთის გამავრცელებელ ინსტრუმენტად აქცევს. შიძლება დავასკვნათ, რომ ფართო აუდიტორიის სწრაფად მიზიდვის და კამპანიების მოკლე დროში ორგანიზების შესაძლებლობამ სოციალური მედია აქტივიზმის ეფექტურ ინსტრუმენტად აქცია.

სოციალური მედიის გავლენა თანამედროვე საზოგადოებაზე ფართო და მრავალმხრივია. მან შეცვალა კომუნიკაციის ფორმები და მეთოდები, ხელი შეუწყო ინფორმაციის დემოკრატიზაციას, მოახდინა

რევოლუცია ბიზნესში და მისცა რეალიზაცია-განვითარების შესაძლებლობა ცალკეულ ინდივიდებსა და საზოგადოებებს. ამ სიკეთეებთან ერთად, თანამედროვე საზოგადოება იძულებულია, გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რაც დაკავშირებულია სოციალური მედიის განვითარების პარალელურად, კონფიდენციალობის დაცვის, დეზინფორმაციის გავრცელების, პოლარიზაციის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან.

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებაზე სოციალური მედიის გავლენის კვლევა და გააზრება მნიშვნელოვანია. პრობლემის იდენტიფიცირების, მასზე დისკუსიით, ცნობიერების ამაღლებით და კრიტიკული აზროვნების წახალისებით შესაძლებელია რისკების შემცირება და შედარებით უსაფრთხო ციფრული გარემოს ჩამოყალიბება. ეს, საბოლოო ჯამში, შეამცირებს ადამიანის მოწყვლადობის ხარისხს და საზოგადოების მედეგობას გააძლიერებს. სოციალური მედიის დადებითი და უარყოფითი მხარეები შემდეგნაირად შეიძლება, ჩამოვაყალიბოთ:

დადებითი ცვლილებები: 1. კავშირი და კომუნიკაცია: სოციალურმა მედიამ მსოფლიო უფრო ხელმისაწვდომი გახადა გეოგრაფიული დისტანციის შემცირებით. ადამიანებს შეუძლიათ მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტის შენარჩუნება მდებარეობის მიუხედავად. 2.ინფორმაციის გაზიარება: სოციალური მედია ბევრისთვის ახალი ამბებისა და ინფორმაციის მთავარ წყაროდ იქცა. ადამიანს შეუძლია სწრაფად გაეცნოს მსოფლიო მოვლენებს, განიხილოს ისინი და გამოთქვას თავისი აზრი. 3.მარკეტინგი და ბიზნესი: სოციალური მედია უზრუნველყოფს პლატფორმას ბრენდებისა და პროდუქტების რეკლამირებისა და პოპულარიზაციისთვის. ეს ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. 4. განათლება და აქტივიზმი: სოციალური მედია გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებისთვის და აქტივისტურ მოძრაობებსა და კამპანიებში, რაც ზრდის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და მობილიზაციის შესაძლებლობებს.

უარყოფითი ცვლილებები და გამოწვევები: 1. დამოკიდებულება და ფსიქოლოგიური პრობლემები: სოციალური მედიის გადაჭარბებულმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს დამოკიდებულება და ფსიქოლოგიური პრობლემები, როგორიცაა დეპრესია და შფოთვა; 2. კონფიდენციალურობა და უსაფრთხოება: პერსონალური ინფორმაციის დარღვევა და კიბერბულინგი სერიოზულ პრობლემად იქცა. ადამიანი უფრო ფრთხილად უნდა იყოს თავისი კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების შესახებ ონლაინ. 3. გაფილტრული ინფორმაციის ნაკადები: სოციალური მედიის ალგორითმებს შეუძლია შექმნას გაფილტრული საინფორმაციო ნაკადები, რომლებიც ზრდის საზოგადოებაში დაყოფას და საზოგადოებას საფრთხეში აგდებს. 4.ყალბი ამბები და დეზინფორმაცია: სოციალური მედია იქცა ყალბი ამბების გავრცელების პლატფორმად, რამაც შეიძლება სერიოზულად იმოქმედოს საზოგადოებრივ აზრზე და პოლიტიკურ პროცესებზე. 5.რეალური ურთიერთობების ხარისხის საფრთხე: ინტერნეტკომუნიკაციას შეუძლია კონკურენცია

ISSN 1512-0996
www.shromebi.gtu.ge

გაუწიოს პირად ურთიერთობებს, შეამციროს მათი ხარისხი და სიღრმე.

სოციალური ქსელები იქცა ორმაგ ძალად, რომელიც უზრუნველყოფს ბევრ სარგებელს, მაგრამ ასევე ქმნის ახალ გამოწვევებს თანამედროვე საზოგადოებისთვის. მნიშვნელოვანია ყურადღება მიაქციოთ სოციალურ ქსელებში მონაწილეობის დონეს, აკონტროლოთ უსაფრთხოება და კონფიდენციალურობა და განავითაროთ კრიტიკული აზროვნება ინფორმაციის გასაფილტრად.

დასასრულს, სოციალურმა მედიამ უდავოდ შეცვალა ჩვენი სამყარო და საზოგადოება. მათ შექმნეს ახალი შესაძლებლობები კომუნიკაციისთვის, განათლებისა და ბიზნესისთვის, მაგრამ ასევე შემოიტანეს ახალი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია დამოკიდებულებასთან, კონფიდენციალურობასთან და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან. სოციალური მედიის გამოყენებაში გაგება და ბალანსი არის გასაღები ჯანსაღი და პროდუქტიული საზოგადოების შესაქმნელად ციფრული რევოლუციის ეპოქაში. შეუძლებელია თანამედროვე ცხოვრების წარმოდგენა სოციალური ქსელების გარეშე. კატეგორიულად არ შეიძლება ითქვას, რომ სოციალურ ქსელებს მხოლოდ სარგებელი მოაქვს ან – მხოლოდ ზიანი. არსებობს როგორც ვიწრო მიზნობრივი სოციალური ქსელები, რომლებიც შეიძლება სასარგებლო იყოს სამუშაო მიზნებისთვის, ასევე მრავალრიცხოვანი აუდიტორიითა და მრავალი ფუნქციით, რაც უზრუნველყოფს როგორც საქმიან, ისე გასართობ მიზნებს. მათ შეუძლიათ დაგეხმარონ დროის გატარებაში, მაგრამ ასევე შეიძლება ადამიანები გახადონ დამოკიდებული, შესაბამისად, სოციალური ქსელების გავლენა საზოგადოებაზე მეტად მრავალფეროვანი და ორაზროვანია და კონკრეტულ ინდივიდზე გავლენა მის სუბიექტურ თვისებებზეა დამოკიდებული. გონივრულად უნდა მივუდგეთ სოციალური ქსელების გამოყენებას, რათა შევძლოთ მინიმალური უარყოფითი შედეგების და მაქსიმალური სარგებლის მიღება.

ლიტერატურა

1. https://datareportal.com/social-media-users
2. https://www.britannica.com/topic/social-media).
3. https://www.gwi.com/reports/global-media-landscape?utm_source=kepios&utm_medium=referral&utm_campaign=2024+Kepios+Global+Audiences
4. Barnes, J. A. (1954). Class and committees in a Norwegian Island parish. Human Relations, 7, 39. doi:10.1177/001872675400700102).
5. https://www.w3.org/People/Berners-Lee/Longer.html
6. https://www.bbc.com/news/technology-47771927
7. http://news.bbc.co.uk/2/hi/middle_east/8099579.stm
8. Pillay, van Niekerk, & Maharaj, 2010.
9. Vinson, J. 2011, March 11. Social networks become preferred lines of communication during Japan earthquake. WebProNews.com. Retrieved from http://www.webpronews.com/japan-earthquakesocial-networkin-2011-03).
10. https://datareportal.com/reports/digital-2024-global-overview-report

UDC 339
SCOPUS CODE 1705
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-4-119-132

Social Media and modern Society

Maka Arakhamia Department of social Science, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: makaarakhamia@ gmail.com

Reviewers:

L. Lortkifanidze, Associate Professor, Faculty of Engineering Eqonomics media Teqnologies and Social Science, GTU
E-mail: r.lortkifanidze@gtu.ge

M. Shonia, Associate Professor, Faculty of Engineering Eqonomics media Teqnologies and Social Science, GTU
E-mail: micaeli53@mail.ru

Abstract. Without social media, the life of a modern person has become practically unimaginable. Applications such as Facebook, Instagram, LinkedIn, Site X (formerly Twitter), TikTok are used by billions of people worldwide, and this statistic is constantly growing. Social media platforms are functionally used for many purposes, including communication, receiving and spreading information, self-expression, entertainment, as well as a tool of information warfare, etc. Considering its growing popularity, it is necessary to study the impact of social media on modern society, its benefits, Challenges and risks.

This article discusses the nature of social networks, history of origin and development, negative and positive aspects of social media, its impact on the process of communication between people, democracy, social life, human psyche, behavior, etc. The article analyzes how the life of modern society has changed to a new one. In digital reality, existing problems related to the issue are identified, ways to solve them, prevention mechanisms and development perspectives are established. In the era of globalization and hybrid threats, reducing the public's vulnerability to information warfare tools and raising the awareness of Internet users is especially important.

Keywords: Digital technologies; Internet; Information war; Social media; Social network;

განხილვის თარიღი 21.11.2024
შემოსვლის თარიღი 22.11.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.2024